

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი

შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი დაარსდა 2006 წელს. იგი ბათუმის შოთა რუსთველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და ეკონომიკური ფაკულტეტების შერთების (2005წ.) საფუძველზე წარმოშობილი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულია. ბათუმის შოთა რუსთველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რომლის სახეცვლილ ვარიანტსაც წარმოადგენს იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობის სახით 1991 წელს დაფუძნდა, ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის (რექტორი პროფ. ნური ვერძაძე) ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე (დეკანი პროფ. მამია ფალავა). 1992 წელს, სამართალმცოდნეობის სპეციალობის ბაზაზე, ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში დაარსდა იურიდიული ფაკულტეტი, რომელსაც დაარსებიდან 2004 წლამდე ხელმძღვანელობდა დოცენტი მურმან გორგოშაძე. სწორედ მასსა და მასთან ერთად იმ დროისათვის დეკანატში მომუშავე თანამშრომლებზე (დეკანის მოადგილე იზოლდა ავალიანი, მდივნები: მარინა კვანტალიანი და ლალი ბაგრატი) გადადიოდა ახლად დაარსებული ფაკულტეტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული სიმნელები. ახლად ჩამოყალიბებულ ფაკულტეტზე გამოიკვეთა საქმიანობის შემდეგი ძირითადი მიმართულებები: მაღლკვალიფიციური იურიდიული კადრების შერჩევა, მოზიდვა და ფაკულტეტზე დასაქმება; შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით ფაკულტეტის მომარაგება; სასწავლო დისციპლინებში პროგრამებისა და მეთოდური მასალების მომზადება-გამოცემა.

ბათუმის შოთა რუსთველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ოთხი კათედრისაგან შედგებოდა, ფაკულტეტის ძირითად კათედრას, რომელსაც შემდეგ გამოეყო სხვა კათედრები, წარმოადგენდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კათედრა, რომელსაც დაარსებიდან ხელმძღვანელობდა გამოცდილი იურისტი, მაშინდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, ამჟამად წარმატებული ადვოკატი ვაჟა ხახუტაიშვილი. სწორედ მისი ძალისხმევით დაკომპლექტდა ფაკულტეტი დამსახურებული სწავლული და პრაქტიკოსი იურისტებით. ლექციების წასაკითხად მოწვეული იქნენ პროფესორები: ბესარიონ

ზოიძე, ასლან აბაშიძე, ბადრი ნაკაშიძე, პრაქტიკოსი იურისტები: ვაჟა კვარაცხელია, დავით თამაზაშვილი, გოდერძი ბორჩხაძე, თემურ წულუკიძე, დავით კეკელიძე, რაჟდენ დიასამიძე, თემურ ქათამაძე, გივი დიასამიძე, ოთარ ქათამაძე, გიორგი ახალაია, ამირან ნაკაშიძე, თამაზ ბაზიაშვილი, ზურაბ აბაშიძე, ცარო სურგულაძე, ლეილა შეწირული, შუშანა კვაჭანტირაძე, ნარგიზ გვარიშვილი, თინა იმნაძე და სხვები.

დაარსებისთანავე, მომდევნო პერიოდში და დღესაც იურიდიულ ფაკულტეტს (ამჟამად იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტს), გვერდში უდგას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რომელმაც მართლაც „დედა უნივერსიტეტის“ ფუნქცია შეასრულა ჩვენი ფაკულტეტისათვის. ფაკულტეტს მოევლინენ სახელგანთქმული პროფესორ-მასწავლებლები: ვალერი ლორია, რეზო ჭოდოშვილი, შოთა ფაფიაშვილი, აპოლონ ფალიაშვილი, ოთარ მელქაძე, გოგი თოდრია, გიორგი ხუროშვილი, ზურა მლიერიშვილი, გია ლილუაშვილი, მარინა ცისკაძე და სხვები.

უდავოდ დიდია იურიდიული ფაკულტეტის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე დასაქმებულ პროფესორ-მასწავლებელთა წვლილი ფაკულტეტის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში. პრაქტიკულად მათ გაავლეს ფაკულტეტის შემდგომი წინსვლის პირველი ხნული.

გამოცდილ და ცნობილ იურისტებთან ერთად ფაკულტეტს თანდათან შემოემატნენ ახალგაზრდა მასწავლებლები და გამოცდილი სპეციალისტები: იზოლდა ავალიანი, ომარ ფარტენაძე, ლამზირა ბოლქვაძე, ნინო ვაშაყმაძე, კახა ფალავანდიშვილი, რამაზ ბოლქვაძე, თენგიზ გორგოშაძე, ზვიად ვალიშვილი, თემურ ცეცხლაძე, მათა ჭყონია, ლამზირა ბოლქვაძე, ასლან ჭანიძე, მალხაზ დიასამიძე, როლანდ გოგიტიძე, ჯიმშერ ირემაძე, ლეილა ჭეღია, მერაბ იაკობაძე, ბესო ბერიძე, ნუგზარ ზოსიძე, ჯემალ კარალიძე, ხათუნა კალანდარიშვილი, ზაზა რუხაძე, ედიშერ მახარაძე, თამარ სირია, ნინო წულუკიძე, მალხაზ აბულაძე, ნინო ვაშაყმაძე, თამაზ ბერიძე, თემურ ქათამაძე, სვეტლანა ლოგუა, ლინდა შალამბერიძე, ხათუნა ვარშანიძე, გელა თავდგირიძე, რამაზ ბოლქვაძე გიორგი მურვანიძე და სხვები.

ყოფილი იურიდიული ფაკულტეტი და ეხლანდელი იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიებს სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე მოღვაწე აწ გარდაცვლილ

მასწავლებლებს: *ოთარ ქათამაძე, ჯაყა კვარაცხელია, ჩრეზო ჭოდოშვილი, ჭმითა ოქროპირიძე, ჭიორგი ახალაია, ჭიენგიზ გორგოშაძე, ჭირაკლი მახარაძე, ჭამირან ნაკაშიძე, ჭრაყდენ დიასამიძე, ჭდავით თამაზაშვილი, ჭვლადიმერ მკერვალიშვილი, ჭთამაზ ბაზიაშვილი, ჭგივი დიასამიძე*, რომლებიც საკმაოდ რთულ პერიოდში, მინიმალური გასამრჯელოს ფასად, პირნათლად ემსახურნენ სტუდენტების აღზრდასა და იურისპუდენციაში გზის გაკვლევას. ყველა მათგანის ნათელი ხსოვნა მთელი საქართველოს მასშტაბით მიმოფენილი ჩვენი ის სტუდენტებია, რომლებიც მათ ლექციებს ისმენდნენ. განსაკუთრებით გულშიჩამწვდომია, ბატონი ოთარ ქათამაძის გარდაცვალება, იგი ჩვენი უნივერსიტეტის ეხლანდელ 65-ე აუდიტორიაში, ლექციის კითხვის დროს, კათედრასთან გარდაიცვალა.

ღმერთო, ყოვლადმღიერო, ნათელში ამყოფე მათი სულები!

1994 წელს ფაკულტეტზე დაარსდა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრა. კათედრას დაარსებიდან ხელმძღვანელობდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ნუგზარ ფუტკარაძე. ახლადჩამოყალიბებულ კათედრაზე მუშაობდნენ თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილებით გამორჩეული ლექტორ-მასწავლებლები: იურიდიული ფაკულტეტის დეკანი დოცენტი მურმან გორგოშაძე; იმხანად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის ხელმძღვანელი ზაზა რუხაძე, რომლსაც მიჰყავდა სალექციო კურსი სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართალში და ბათუმში მოღვაწეობისას გამოსცა სახელმძღვანელო „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ (ბათუმი 1999წ.), დიდია მისი წვლილი ფაკულტეტის სპეციალური იურიდიული ლიტერატურით მომარაგების საქმეში; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები ნუგზარ ზოსიძე, ჯემალ კარალიძე; პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი; ბესიკ ბერიძე; ქალაქ ბათუმის სასამართლოს მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძე; ახალგაზრდა მასწავლებლები მერაბ იაკობაძე, მაია ჭყონია, ზვიად ვალიშვილი, ხათუნა კალანდარიშვილი; გამოცდილი სპეციალისტები ვლადიმერ მკერვალიშვილი, ლეილა ჭედია და სხვები.

კათედრას თანდათან შემოემატნენ მასწავლებლები: ასლან ჭანიძე, არჩილ ვარშალომიძე, ლევან ლორთქიფანიძე, თემურ ცეცხლაძე, ნათია სვანიძე, მალხაზ ნაკაშიძე, ნანა მანჯგალაძე, დავით გაბაიძე, ია შალამბერიძე, ვადიდ ახუნდოვი, თამარა ლომაძე და სხვები.

2002 წელს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრა გაიყო ორ – სახელმწიფო (კონსტიტუციურ) სამართლისა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრად. სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართლის კათედრას ლიკვიდაციამდე (2006წ.) ხელმძღვანელობდა ასოც. პროფესორი ნუგზარ ფუტყარაძე, კათედრის ლაბორანტი იყო ზაზა მაქაძე, ხოლო სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრას, ასევე ლიკვიდაციამდე (2006წ.) ხელმძღვანელობდა ასოც. პროფესორი მურმან გორგოშაძე, კათედრის ლაბორანტი იყო ნანი მჟავანაძე.

იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი სპეციფიკური დარგია საერთაშორისო სამართალი. აქედან გამომდინარე თავიდანვე უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა საერთაშორისო სამართლის სწავლებას მომავალი იურისტების ფორმირების საქმეში. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით 1997 წელს გამოცხადდა მიღება საერთაშორისო სამართლის სპეციალობაზე და დაარსდა საერთაშორისო სამართლის კათედრა, რომელსაც ჩამოყალიბებისთანავე ხელმძღვანელობდა მოსკოვის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მაშინდელი ასპირანტი, იურისტის 20-წლიანი პრაქტიკული სტაჟის მქონე საერთაშორისო სამართლის მაგისტრი როსტომ გუნთაიშვილი, რომელმაც 1999 წელს GOLPI -ის უნივერსიტეტში (ბუდაპეშტი) მიიღო საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების სამართლის ექსპერტის სერთიფიკატი. იგი ახლაც წარმატებით იღვწის იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტში, აქტიურად მონაწილეობს სამართლის ბაკალავრისა მაგისტრის პროგრამების განხორციელებაში, მიჰყავს ლექციების კურსი საერთაშორისო კერძო სამართალში, ევროპულ კერძო სამართალსა და დავების მოგვარების ალტერნატიული გზებით გადაწყვეტის სამართლებრივ რეგულირებაში. ახალჩამოყალიბებულ კათედრაზე მასწავლებლად მუშაობდნენ საერთაშორისო სამართლის მაგისტრები: გელა თავდგირიძე და ირაკლი მახარაძე, ახალგაზრდა იურისტები მალხაზ აბულაძე და გიორგი მურვანიძე. კათედრის ლაბორანტები იყვნენ მალხაზ დიასამიძე და ინგა ბოლქვაძე. კათედრამ 1999 წლიდან დაიწყო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ევროპული სამართლის სწავლება, რაც ამ საგნების სწავლების ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენდა საქართველოში.

ფაქტობრივად აღნიშნული ამ ოთხი კათედრის ბაზაზე 2006 წელს შეიქმნა იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, რომელსაც დაარსებიდან 2008 წლამდე ხელმძღვანელობდა სრული პროფესორი ომარ მახარაძე, სპეციალისტი – ნათია ფაცია.

2008 წლიდან იურიდიული მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფესორი მურმან გორგოშაძეა.

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტში 2009-2011 წწ. სრული პროფესორის თანამდებობა ეჭირა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ **ბესარიონ ზოიძეს**, რომელიც 1982 წლიდან თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ჯერ უფროსი მეცნიერ მუშაკია, შემდეგ მთავარი მეცნიერ მუშაკი და კერძო სამართლის განყოფილების გამგე, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში, დირექტორი. 1999-2009 წწ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, პირველი კოლეგიის თავმჯდომარე, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის აღსანიშნავია: „ქართული სანივთო სამართალი“ (თბილისი, 2003), „ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში“, (თბილისი, 2005) „საკონსტიტუციო კონსტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში“ (თბილისი, 2007), „ქართული სამართალი, როგორც ევროპული სამართლის ნაწილი (ისტორიულ–სამართლებრივი ასპექტი)“, „საკუთრების უფლება და მისი დაცვა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით“ და სხვა.

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტში ჯერ ასოცირებული (2006-2009წწ.), ხოლო შემდეგ სრული პროფესორის (2009-2010წწ.) რანგში მოღვაწეობდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **რაჟდენ ფუტყარაძე**, რომელიც 2004 წლიდან მოღვაწეობს იურიდიულ ფაკულტეტზე, იგი ამჟამად ჩვენი უნივერსიტეტის ემერტუსი პროფესორია და პარალელურად პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტსა და წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტში. გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ორი დამხმარე სახელმძღვანელო.

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის წინაშე დასმულ ძირითად ამოცანას წარმოადგენს სამართალმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების წარმატებული განხორციელება.

2011 წლის 4 ნოემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით რსუ-ს სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია.

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით. დეპარტამენტი სარგებლობს უნივერსიტეტის სასწავლო-კომპიუტერული კლასებით, სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა (ბათუმის ფილიალი) და ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკით. ასევე იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტს გააჩნია: პროგრამებით გათვალისწინებული კურსების შესწავლისათვის აუცილებელი სპეციალური და მონათესავე ლიტერატურა; რესურსცენტრი ინტერნეტქსელითა და ბიბლიოთეკით; ამერიკის იურისტთა ასოციაციისა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ინიცირებული და ამოქმედებული იურიდიული კლინიკები; მოქმედებს საიმიტაციო სასამართლო დარბაზი; დაარსებულია სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტის ბიბლიოთეკა „საგანმანათლებლო სერიის“ ეგიდით და მიმდინარეობს ერთი ლექციის ფორმატით სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის გამოცემა (გამოცემულია 7 ნომერი).

დეპარტამენტში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: სამართლის თეორიულ-ფილოსოფიური პრობლემები; სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებული პრობლემები; საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლებრივი ასპექტები; ინდივიდის სამართლებრივი მდგომარეობა და მათი უფლებების პატივისცემისა და დაცვის საკითხები; თანამედროვე გლობალიზაციისა და საერთაშორისო მართლწესრიგის აქტუალური საკითხები; ადმინისტრაციული სამართლისა და ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრობლემები; კერძო და სისხლის სამართლის პრობლემები და სხვა.

იურიდიულ მეცნიერებათ დეპარტამენტის წინაშე დასმული ამოცანების განხორციელებას უზრუნველყოფს იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი შემდეგი შემადგენლობით:

ორი სრული პროფესორი:

მურმან გორგოშაძე, 1987 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორია, 1987-1993წწ. ეკავა მასწავლებლის, ხოლო 1993-2006წწ. დოცენტის თანამდებობა, 2006-2010წწ. აოსიცრებული პროფესორია. 2011 წლიდან სრული პროფესორი. დიდია მურმან გორგოშაძის, როგორც იურიდიული ფაკულტეტის პირველი დეკანის (1992-2006წწ.) წვლილი ამ ფაკულტეტის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში. 2002-2006წწ. იგი სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრის გამგეა. 2008 წლიდან იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი. 2009-2010 წწ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი. ფართოა მისი სამეცნიერო კვლევის სფერო. იკვლევს სამართლის ფილოსოფიის, სამართლის ფილოსოფიის ისტორიის, საკანონმდებლო ტექნიკისა და ზოგადი ფილოსოფიის პრობლემებს. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მნიშვნელოვანია „ტრადიციების არსი, ფუნქციები, მომავალი“ (ბათუმი, 1990), „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის (სქემები და განმარტებები)“ (ბათუმი, 2002), „სახელმწიფოს ფორმები“ (ბათუმი, 2006), თანაავტორობით „იურიდიული გეოგრაფია“ (ბათუმი, 2008), „იურიდიული დოკუმენტის ცნება, სახეები და გაფორმების ზოგადი წესები“ (ბათუმი, 2009), „სამართლის ფილოსოფიის საკითხები“ (ბათუმი, 2009). მიჰყავს ლექციების კურსი სამართლის ფილოსოფიაში, სამართლის მეთოდებში, საკანონმდებლო ტექნიკის საფუძვლებსა და სამეცნიერო კვლევების საფუძვლებში.

ადამ მახარაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასრულებისთანავე (1998წ.) სწავლა გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრაზე. 2006 წელს იქვე დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

2004 წლიდან შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელია. 2006-2009 წწ. ასოცირებული პროფესორი. 2011 წლიდან სრული პროფესორი. მის საკვლევ პრობლემაზე „თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული“, გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის“.

2011 წელიდან იგი არჩეულია სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანად.

ექვსი ასოცირებული პროფესორი:

ნუგზარ ფუტყარაძე, 1994 წლიდან მუშაობს უნივერსიტეტში, ამავე წელს დაინიშნა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრის გამგედ. 2004 წლიდან 2006 წლამდე არჩეული იყო დოცენტად. 2006 წლიდან ასოცირებული პროფესორია. 1993 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია რუსეთის სახელმწიფო მართვის აკადემიის, სახელმწიფოსა და სამართლის ცენტრში, თემაზე: „საარჩევნო სისტემების განვითარება პოლიტიკური კლურალიზმის პირობებში“. მიჰყავს სალექციო კურსი საქართველოს კონსტიტუციურ სამართალში. მუშაობს მაგისტრებთან სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თანამედროვე პრობლემებზე. მისი სამეცნიერო კვლევის ყურადღების ცენტრშია არჩევნების, როგორც საჯარო ხელისუფლების ლეგიტიმაციის საშუალების, ფუნდამენტური საკითხები. აღნიშნულ თემატიკაზე გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები: „საარჩევნო სისტემები სამოქალაქო საზოგადოებაში“, „სახალხო წარმომადგენლობა, როგორც ხელისუფლების განხორციელების ფორმა“, „კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა საარჩევნო სამართალდარღვევებზე“ და სხვა. ამზადებს მონოგრაფიას სათაურით „იურიდიული პასუხისმგებლობა საარჩევნო სამართალდარღვევებზე“. თავისი ხედვა სამართლის აქტუალურ პრობლემებზე არაერთხელ გამოხატა სამეცნიერო მოხსენებებში, როგორც საერთაშორისო, ასევე რესპუბლიკურ და შიდა საუნივერსიტეტო კონფერენციებზე.

ომარ ფარტენაძე, 1995 წლიდან სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კათედრის უფროსი მასწავლებელია. 1997-2003წწ. იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. 2003-2006წწ. სისხლის სამართლის კათედრის გამგე. 2004 წლიდან იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი. 2006 წლიდან სისხლის სამართლის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი და ასოცირებული პროფესორია. 2004-2007წწ. იყო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი. 2008წ. უნივერსიტეტის იურიდიული ოფისის მოადგილე. 2010 წლიდან შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრია. სამეცნიერო მუშაობის სფეროა სასჯელაღსრულებითი სამართალი, ადვოკატურა და

კრიმინალისტიკა. ძირითადი სამეცნიერო შრომები გამოქვეყნებული აქვს სასჯელაღსრულებითი სამართლის მიმართულებით. 2009 წელს გამოვიდა მისი მონოგრაფია „თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა.“

ომარ მახარაძე, ჩვენი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულია (1996წ.): 1996-1999 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტირაში სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე. 2001 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკური შტოების ორგანიზაცია საპარლამენტო სისტემის ქვეყნებში (გფრ და იაპონიის მაგალითზე)“. 2002-2005წწ. იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის დოცენტი. 2006-2008წწ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელია. 2006-2009 წლებში იყო სრული პროფესორი. 2007-2010წწ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი. 2009 წლიდან არჩეულია ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. გამოქვეყნებული აქვს 18 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ერთი მონოგრაფია.

ლევან ჯაყელი, ჩვენი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულია (1998წ). 2002 წელს დაასრულა ხალხთა მეგობრობის რუსეთის უნივერსიტეტის ასპირანტურა საერთაშორისო სამართლის სპეციალობით. მისი სადისერტაციო თემა შეეხებოდა საერთაშორისო სამართლის სამართალსუბიექტურობის საკითხს თანამედროვე საერთაშორისო საჯარო სამართალში. იქვე დაიცვა დისერტაცია (2002წ.) იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. 2002 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის უფროსი მასწავლებელია. 2003-2004წწ. ასრულებდა ამავე კათედრის გამგის მოვალეობას. 2004-2005წწ. იყო იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი. 2005-2009 წლებში სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა. 2009 წელს არჩეულ იქნა ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელად. 2006 წლიდან ასოცირებული პროფესორია, მისი სამეცნიერო კვლევები შეეხება

საერთაშორისო სამართლისა და ევროპული სამართლის პრობლემებს. თანაავტორობით გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალსუბიექტურობის შესახებ. აქვეყნებს სამეცნიერო პუბლიკაციებს უცხოურ და ქართულ სამეცნიერო გამოცემებში. იკვლევს ხალხთა თვითგამორკვევისა და ინდივიდის სამართალსუბიექტურობის საკითხებს თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, ასევე საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და საერთაშორისო სამართლის ფილოსოფიისა და თეორიის პრობლემებს.

მალხაზ ნაკაშიძე, ჩვენი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. 1999-2006 წწ. იურიდიული ფაკულტეტის მასწავლებელია, 2006-2010წწ. ასისტენტ-პროფესორი, 2011 წლიდან ასოცირებული პროფესორი. 2010 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ მიანიჭა სამართლის დოქტორის ხარისხი. გამოქვეყნებული აქვს სახელმძღვანელო არაიურიდიული სპეციალობის სტუდენტებისათვის „საქართველოს კონსტიტუციის საფუძვლები“ (ბათუმი, 2006) და არაერთი სამეცნიერო სტატია, რომელთა შორის აღსანიშნავია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პრობლემები“; „საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული აზრი და მისი მნიშვნელობა“; „მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ცნება და კლასიფიკაცია“. მონოგრაფია, „რუსული პასპორტები და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის საკითხი საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში“ და სხვა.

2010 წლიდან კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილეა.

ბაკურ ლილუაშვილი, 1995 წელს დაამთავრა თბილისის აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტი, 1999 წელს თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი, 2010 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა სამართლის დოქტორის ხარისხი. 2011 წლიდან რსუ-ს ასოცირებული პროფესორია. ისი

სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს კერძო სამართალი, სამოქალაქო სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი. მის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებიდან აღსანიშნავია სამეცნიერო სტატიები: „საქართველოს სასამართლოებში უცხოელთა საპროცესო თანამონაწილეებად დაშვების საკითხი“; „უცხო ქვეყნის სამართალი საქართველოს სამოქალაქო პროცესში“; „სასამართლო უწყების ჩაბარების მნიშვნელობა საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალში“ და მონოგრაფია „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში.“ თბ., 2011.

2009 წლიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსი მრჩეველია.

ექვსი ასისტენტ-პროფესორი:

კახა ფალავანდიშვილი, 1996 წელს დაამთავრა ჩვენი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1996-1997წწ. ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის ლაბორანტია, 1998-2006წწ. მასწავლებელი, 2006 წლიდან ასისტენტ-პროფესორი. იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტია. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ ბესარიონ ზოიძის ხელმძღვანელობით იკვლევს საკუთრების უფლების წარმოშობის საკითხს უძრავ ნივთებზე. გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებს შორის აღსანიშნავია: „საკუთრების უფლების წარმოშობის პირველადი საფუძვლები“; „სახელმეკრულებო თავისუფლების პრობლემა სამოქალაქო სამართალში“; „სახელმეკრულებო სამართლიანობა“.

მირიან ქათამაძე, ჩვენი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. 2004 წლიდან ბათუმის შოთა რუსთველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელია. 2006 წლიდან ამავე უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი. იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტია. მისი საკვლევო პრობლემებია: პირობითი მსჯავრი სისხლის სამართალში და სასჯელის დანიშვნის საწყისები. გამოქვეყნებული

სამეცნიერო შრომებიდან აღსანიშნავია: „სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი“; „პირობითი მსჯავრი, როგორც ნეგატიური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაციის ფორმა“; „პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნება“; „სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“. გადაცემული აქვს დასაბეჭდად მონოგრაფიული გამოკვლევა „სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები“.

ანზორ მახარაძე, 2006 წლიდან შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორია. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1995 წლიდან ამავე უნივერსიტეტის მართლმსაჯულების და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრის ლაბორანტია, ხოლო 1997-2005წწ. სისხლის სამართლის პროცესის და კრიმინალისტიკის კათედრის მასწავლებელი. მისი სამეცნიერო კვლევის სფერო სისხლის სამართლის პროცესია. მუშაობს „დაზარალებულის ინსტიტუტზე სისხლის სამართლის პროცესში“. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები სხვადასხვა რეფერირებად ჟურნალებში. არის თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი სისხლის სამართლის მიმართულებით. წარდგენილი აქვს სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ზურაბ კვიციანი, 2006 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი. 2009 წლიდან შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი. მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მიმართულია სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის ცალკეული საკვანძო საკითხების გარშემო. პროფესორ გია ხუბუას ხელმძღვანელობით ეწევა სოციალური სახელმწიფოს კონცეფციის მეცნიერულ კვლევას წამყვანი სოციალური სახელმწიფოების გამოცდილების საფუძველზე. გერმანიის მაქს-პლანკის სოციალური სამართლის კვლევით ინსტიტუტში გააკეთა მოხსენება თემაზე: „სოციალური სახელმწიფოს პრინციპი პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში“. კონსტიტუციური სამართლის დარგში იკვლევს კონსტიტუციური სამართლის პრობლემატურ საკითხებს. აღნიშნულ საკითხზე 2010 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი

„კონკრეტულ და აბსტრაქტულ ნორმათა კონტროლის სუბიექტების თავისებურებები საკონსტიტუციო სასამართლოში“.

ირაკლი აბაშიძე, 2006 წლიდან იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის მასწავლებელია. 2009 წლიდან ასისტენტ-პროფესორი. 1999 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბათუმის სამართლის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი. 2006 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტია სისხლის სამართლის პროცესის მიმართულებით. მუშაობს სადისერტაციო თემაზე სისხლის სამართლის პროცესში. მისი კვლევის საგანს წარმოადგენს მოწმის იმუნიტეტი. სისტემატიურად აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს, გამოძიების, ბრალდების, პროკურორის ფუნქციების საკითხებზე აღსანიშნავია მისი გამოკვლევა „პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზე“.

არმაზ კახიძე, ბათუმის №22 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1994 წელს, დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოგრაფია-ისტორიის სპეციალობით; 1998 წელს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ქ. მოსკოვის დიპლომატიური აკადემია სპეციალობით - საერთაშორისო სამართალი; 2003 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა სპეციალობით – საერთაშორისო სამართალი; 2006 წელს ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის გაერთიანებული ფაკულტეტი სპეციალობით – სამართალმცოდნეობა.

2004 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელია, 2006-2009 წწ. ამავე უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი. 2012 წლიდან იგი კვლავ იქნა არჩეული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორად. მუშაობს საერთაშორისო სამართლის პრობლემებზე. იკვლევს სახელმწიფოს იურისდიქციული იმუნიტეტების საკითხებს საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. არის ავტორი შრომებისა: „პარლამენტის ორპალატიანობის (ბიკამერალიზმის) როლი და ადგილი სახელისუფლებო შტოთა სისტემაში და ქართული საკონსტიტუციო ცვლილებები“

(თანავტორობით); „საერთაშორისო მთავრობათშორისო ორგანიზაციების საერთაშორისო სამართალსუბიექტურობის თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ასპექტები“, ბათუმი, 2006 (რუსულ ენაზე, თანავტორობით).

აკადემიურ პერსონალთან ერთად იურიდიული დეპარტამენტის წინაშე დასმული ამოცანების განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ:

მოწვეული სპეციალისტები: დავით გაბაიძე, იზო ავალიანი, რეზო ფუტყარაძე, ლინდა შალამბერიძე, დავით კეკენაძე, როსტომ გუნთაიშვილი, ოთარ გოგოლიშვილი, არჩილ ვარშალომიძე, ხათუნა ბოლქვაძე, ანზორ უსტიაძე, ქეთევან ცხადაძე, პაატა კოპალეიშვილი, გივი აბაშიძე, იზო ავალიანი, ჟანა ჯიბლაძე, ჯუმბერ დიდმანიძე, რაჭდენ ფუტყარაძე, ანა ფირცხალაშვილი, ირაკლი კაცაძე, დავით სამნიძე, დავით ჭყონია, ნიკა მეგრელიშვილი, ზურაბ მაჭარაძე, გულიკო კაჭაშვილი, ხათუნა ინაიშვილი.

დეპარტამენტის სპეციალისტი – ინგა ბოლქვაძე.

მდივნები: ლალი ბაგრატია და ლამზირა ფაღავა.

რესურსერცენტრის ხელმძღვანელი – რუსიკო თავბერიძე.

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის სრული შემადგენლობა, აცნობიერებს რა მის წინაშე მდგარი ამოცანის მნიშვნელობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობას, ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განხორციელების საქმეში.

**იურიდიულ მეცნიერებათა
დეპარტამენტის ხელმძღვანელი** სრული პროფესორი მურმან გორგომაძე
25. 01. 2011